ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 76-14

"5" მარტი 2021 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის №13-42 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 22/02/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010260050.35.101.016490) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დებულების:

1. მე-6 მუხლის:

ა) მე-4 პუნქტს „გ" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ" ქვეპუნქტი:

„დ) უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხების განმხილველი სამმართველო"

ბ) მე-5 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) საჯარო ინფორმაციის გაცემისა და სასამართლოსთან წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სამმართველო".

2. მე-10 მუხლს მე-3 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

"4. უძრავი ქონების მონაცვლეობის საკითხების განმხილველი სამმართველოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზებასთან (მონაცვლეობასთან) დაკავშირებით, სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული, კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

ბ) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების მონაცვლეობასთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირთა მიერ წარმოდგენილი წინადადებების/მოთხოვნების განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

გ) გაცვლის ფორმით პრივატიზებისთვის განკუთვნილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ბაზის წარმოება/შემუშავება;

დ) შესაბამისი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის უზრუნველყოფად კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება;

ე) შესაბამისი სამართლებრივი აქტების პროექტების მომზადება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის/ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის შესათანხმებლად/გადაწყვეტილების მისაღებად წარდგენის უზრუნველყოფა;

ვ) უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ სააგენტოს მიერ გასაფორმებელი ხელშეკრულებების პროექტების მომზადება და მათი გაფორმების უზრუნველყოფა;

ზ) უძრავი ქონების მონაცვლეობასთან დაკავშირებით მონაცემების აღრიცხვა/სტატისტიკის წარმოება;

თ) სამმართველოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებთან დაკავშირებით შემოსული კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი რეაგირება;

თ) სააგენტოს უფროსის, სააგენტოს უფროსის მოადგილის/სამსახურის უფროსის ცალკეული დავალებების შესრულება;

ი) ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელება“.

3. ამოღებულ იქნას მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

4. მე-11 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საჯარო ინფორმაციის გაცემისა და სასამართლოსთან წარმომადგენლობის უზრუნველყოფის სამმართველოს უფლებამოსილებას განეკუთვნება:“.

ბ) მე-2 პუნქტს „ვ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ვ[1]“ ქვეპუნქტი:

„ვ[1]) საჯარო ინფორმაციის გასაცემად სამუშაოების ორგანიზება და განხორციელება, საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაციის მომზადებაში შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ჩართვის უზრუნველყოფა“.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი **გიორგი ახვლედიანი**